

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია დიდი ქრისტიანული გაერთიანებისას

განხეთქილებები და დაპირისპირებები არა მხოლოდ ქრისტიანობის, არამედ ნებისმიერი რელიგიის თანმხლები მოვლენებია, რამდენადაც ისინი არასრულყოფილ ადამიანთა ქმედებების შედეგია. ამიტომ, ბუნებრივი იყო, რომ აღნიშნული ურთიერთგაუცხოებანი და სრულფასოვანი განხეთქილებანიც ქრისტიანულ ეკლესიაში ადრეული საუკუნეებიდანვე დაიწყო. ასევე ბუნებრივი იყო განზრახვები შერიგებისა.

საუკუნეების მანძილზე განხეთქილებისა და შერიგების მცდელობებს ვხედავთ სხვადასხვა ქრისტიანულ ეკლესიებს შორის, იქნებოდნენ ესენი არაქალკედონური თუ ქალკედონური, კათოლიკური თუ პროტესტანტული ან უშუალოდ დასახელებული კონფესიების შიგნით არსებული განშტოებები. ალბათ, ყველაზე დიდი განხეთქილება 1054 წელს გაფორმდა ბერძნულ და ლათინურ საქრისტიანოებს (ძველ და ახალ რომს) შორის. მას ეწოდა კიდევ “დიდი განხეთქილება”¹. ქრისტიანული ეკლესიის ამ ორი დიდი ნაწილის კვლავ დაკავშირებისა და გაერთიანებისთვის მნიშვნელოვან მცდელობებს წარმოადგენდა ჯერ ლიონის კრება (1274 წ.), მოგვიანებით კი – ფერარა-ფლორენციის კრება (1438-1439 წწ.). სწორედ ეს უკანასნელი ითვლება ყველაზე მასშტაბურ საეკლესიო კრებად, რომლის მიზანი იყო დიდი ქრისტიანული გაერთიანება.

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება მხოლოდ ქართველების პოზიცია აღნიშნულ დიდ საეკლესიო შერიგებასთან მიმართებით. შესაბამისად, აქ არ იქნება გაანალიზებული თავად ამ მსოფლიო კრების მომზადების, მიმდინარეობისა და გამოწვეული შედეგების რთული პოლიტიკური და რელიგიური კონტექსტი.

იტალიაში გამართული ფერარა-ფლორენციის კრების სხდომის ოქმები შემორჩენილი არაა (Geanakoplos 1955, 326). ამ კრების შესახებ სამი პირველწყარო არსებობს: “ბერძნული აქტები” (Acta Graeca), რო-

1 „დიდი განხეთქილებად“ იწოდება ასევე თვით რომის კათოლიკური ეკლესიის ფარგლებში 1378-1417 წლებს შორის არსებული განხეთქილებაც, რომელიც 1054 წლის „დიდი განხეთქილებასთან“ შედარებით, მაინც ლოკალურ მოვლენად შეიძლება იქნეს განხილული.

მელიც უმთავრესად შედგენილია ლათინოფილი და პროუნონისტური ორიენტაციის ბერძენი ეპისკოპოსის, დოროთეოს მიტილინელის² მიერ; „ლათინური აქტები“ (Acta Latina) – შედგენილი პაპის ადვოკატის, ანდრეა დი სანტა კროჩეს (Santacroce 1955) მიერ; და ბოლოს, ანტი-უნონისტურად განწყობილი ბერძენი ავტორის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წარმომადგენლის, სილვესტრ სიროპულოსის მემუარები (Syropoulos 1971). ლათინური აქტების მიხედვით, ქართველებმა ხელი მოაწერეს ფლორენციის უნიის დეკრეტს, მაგრამ ეს აქტები ტენდენციურადაა მიჩნეული. სიროპულოსის მემუარებში ქართველების მიერ უნიის გაზიარება უარყოფილია.

ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველების მონაწილეობის შესახებ ქართულენოვანი ისტორიული ცნობები არ მოგვეპოვება³. ამის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ უცხოური წყაროებიდან გვაქვს – ყველაზე ვრცლად სწორედ სიროპულოსის მემუარებში. გარკვეული ინფორმაციაა მოცემული რუსულენოვან, ნაკლებად მნიშვნელოვან, წყაროებშიც, რომელთაც წინამდებარე სტატიაში არ შევეხებით.

სიროპულოსის მემუარების განსხვავებული ხელნაწერები არსებობდა. 1971 წელს ლორანმა გამოაქვეყნა სიროპულოსის კრიტიკულად დადგენილი ტექსტი, რომელსაც წინამდებარე სტატიაში მივყვებით⁴. ამ გამოცემაში მოცემულია ბერძნული ორიგინალისა და მისი ფრანგული თარგმანის პარალელური ტექსტები.

სიროპულოსის „მემუარების“ ქართული თარგმანები

სიროპულოსის მემუარებიდან ქართველებთან დაკავშირებული შესაბამისი მონაკვეთის სამი სხვადასხვა ქართულენოვანი თარგმანი არსებობს. პირველი მათგანი ოლეგ ჟუჟუნაძეს ეკუთვნის. ის 1970 წლამდეა შესრულებული (ჟუჟუნაძე 1970, 5-77). ეს თარგმანი ეფუძნება სიროპულოსის ტექსტის 1660 წლის გამოცემას, რომელიც მომზადდა ანგლიკანი ეპისკოპოსის, რობერტ ქრეიტონის, მიერ (Geanakoplos 1955, 326) და „ბევრ უზუსტობას“ შეიცავს (უშიკიშვილი 2015, 220). მართლაც, მისი შინაარსი ცოტათი განსხვავდება ლორანის 1971 წლის კრიტიკული გამოცემისგან (კონკრეტული მაგალითი ამ სხვაობისა იხ. ქვემოთ). ჟუ-

2 Theodore Xanthopoulos and Dorotheus of Mytilene (et. al?). Quae supersunt Actorum Graecorum Concilii Florentini. Pars I: Res Ferrarie Gestae (CFDS V/1). Rome 1953. Edited by Joseph Gill. Pars II: Res Florentiae Gestae (CFDS V/2), Rome 1953. (შემოკლებით იხსენიება როგორც Acta Graeca).

3 ამგვარია წინამორბედი მკვლევრების მოსაზრებაც. იხ. მაგ.: (პაპუაშვილი 2009, 224), (პაპუაშვილი 2021, 107).

4 სიროპულოსის აღნიშნულ გამოცემაში კრებაზე ქართველების მონაწილეობის შესახებ იხ. შემდეგი მონაკვეთი: (Syropoulos 1971, 461-465).

ჟუნაძის აღნიშნული თარგმანი უცვლელად გადაბეჭდილია 2004 წელს გამოცემულ ქრესტომათიულ კრებულში (მეტრეველი 2004, 229-233).

მეორე თარგმანი ეკუთვნის ჯუანშერ ვათეიშვილს (ვათეიშვილი 2014, 295-301), ხოლო მესამე თარგმანი - მაგდა მჭედლიძეს (მჭედლიძე 2009, 58-61). ვათეიშვილისა და მჭედლიძის თარგმანები შესრულებულია ლორანის გამოცემიდან, როგორც ამას თავადაც აღნიშნავენ.

უკვე არსებული ქართული თარგმანებისადმი პატივისცემის ზოგადი პრაქტიკიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევაში, ძირითადად, მივყვები ვათეიშვილის თარგმანს, რომელიც ლორანის 1971 წლის კრიტიკული გამოცემიდანაა შესრულებული. ამ თარგმანს ვცეტირებ, ცხადა, ლორანის გამოცემაზე თვალის მიდევნებით. სიროპულოსის მიერ ნახსენები ქართველი დელეგატის სიტყვებს, რომლებიც ვათეიშვილის არასრულ თარგმანში საერთოდ არ მოიპოვება, ვიმოწმებ მჭედლიძისეული თარგმანით.

ქართული დელეგაციის შემადგენლობა

ფერარა-ფლორენციის კრებაზე აღმოსავლეთიდან 22 ოფიციალური წარმომადგენელი გაემგზავრა, სულ 700 პირი. მათ შორის, მინიმუმ ,ორი ქართველი ეპისკოპოსი უნდა ყოფილიყო. 1436 წელს ბიზანტიის იმპერატორმა ტრაპიზონსა და საქართველოში აღნიშნულ დელეგატთა წამოსაყვანად ანდრონიკე იაგარისი გამოგზავნა. ქართველები ჯერ კონსტანტინეპოლში ჩადიან და აქედან კონსტანტინეპოლის პატრიარქის დელეგაციასთან ერთად იტალიაში მიემგზავრებიან.

სიროპულოსის მიხედვით, საქართველოდან წამოიყვანეს ორი ეპისკოპოსი და ერთი ერისკაცი. ეს უკანასკნელი ბერძნულად „არქონტად“ იწოდება, რაც ნიშნავს სახელმწიფო მოხელეს, რომელიც ზოგჯერ ერის მთავრადაც იხსენიება (მჭედლიძე 2009, 61). იგი უნდა ყოფილიყო მეფე ალექსანდრე პირველის ნათესავი. ვინაიდან სიროპულოსი მხოლოდ ერთ ქართველ ეპისკოპოსს ახსენებს, ივარაუდება, რომ მეორე ქართველი ეპისკოპოსი კონსტანტინეპოლიდან ფლორენციაში აღარ გაჰყვა ბერძნებს და საქართველოში დაბრუნდა. აღსანიშნავია, რომ სიროპულოსის „მემუარების“ ზოგი სხვა რედაქცია ორ ქართველ ეპისკოპოსზე საუბრობს, რომლებიც იტალიაში გაემგზავრნენ.

* * *

სიროპულოსის ნაშრომის შესაბამის მონაკვეთში შეგვიძლია გამოვყოთ და ცალ-ცალკე განვიხილოთ სამი მომენტი თუ ასპექტი, რომე-

ლიც უკავშირდება ამ კრებაზე ქართველების მიერ გამოხატულ პოზიციას. ესენია: ანტიოქიის პატრიარქის მიერ ქართველებისთვის მიცემული ინსტრუქციის მიხედვით მოქმედება; პაპთან კერძო დიალოგში გამოხატული პოზიცია ფილიოკვეს შესახებ და არისტოტელეს ხშირ დამოწმებასთან დაკავშირებული ეპიზოდი.

ანტიოქიის ინსტრუქცია

პირველ ეპიზოდთან დაკავშირებით, სიროპულოსი წერს:

„რაც შეეხება ქართველ ელჩებს, ისინი ჩამოვიდნენ (ფერარაში) ჩვენთან ერთად — ეპისკოპოსი და საერო არქონტი. განხილვის დასრულების შემდეგ პრელატი (ეპისკოპოსი, დ.თ.) მიხვდა, რომ უნია ცუდ პირობებში მზადდებოდა; როგორც კერძო პირი, იგი მოვიდა ჩვენთან — ეპისკოპოსებთან და სხვებთან, გვაჩვენა ყველას ანტიოქიის პატრიარქის წერილი, რომელიც მოგვიწოდებდა, არ დავთანხმებულიყავით თუნდაც მცირედ დამატებას ან ამოღებაზე (სარწმუნოების სიმბოლოდან, ჯ. ვ.) ერთი ნიშნისაც კი“ (Syropoulos 1971, 463)¹.

ანტიოქიის პატრიარქის ინსტრუქციის მიხედვით მოქმედება სრულიად ნათლად ადასტურებს, რომ კრებაზე ქართული დელეგაციის თეოლოგიური პოზიცია დამოუკიდებლად არ იყო განსაზღვრული. ჩანს, რომ ქართველი დელეგატი ანტიოქიის პატრიარქს პასიურად ეთანხმება, ანუ ექვემდებარება ამ მნიშვნელოვან საკითხზე საკუთარი პოზიციის გამოხატვისას, რადგან კრების განმავლობაში ქართველები ანტიოქიის პატრიარქის წერილისგან დამოუკიდებლად არ ავითარებენ საკუთარ მსჯელობას. შემორჩენილი წყაროებით, არც ის ჩანს, რომ სხენებული ქართველები აქტიურად მონაწილეობდნენ ამ წერილის შედგენაში.

საინტერესოა, რამდენად მომზადებული და გათვითცნობიერებული იყო ქართველი ეპისკოპოსი ზოგადად ბერძნულ-ლათინურ თეოლოგიურ დავებში, კერძოდ, ფილიოკვესთან დაკავშირებული საუკუნოვანი დებატების ისტორიაში? სხვა სიტყვებით, გამოხატავდა თუ არა იგი ე.წ. ინფორმირებულ თანხმობას ანტიოქიის პატრიარქის ამ წერილზე? წყა-
1 ქართული თარგმანი იხ.: ვათეიშვილი, ფერარა-ფლორენციის კრება, გვ. 295. აღსანიშნავია, რომ ეს სიტყვები სხვაგვარად გადმოიცემა ოთარ ჟუჟუნაძისეულ თარგმანში, რომელიც სიროპულოსის მემუარების განსხვავებულ ხელნაწერს ეფუძნება: „ანტიოქიის პატრიარქის სიგელი, რომელშიც მათ უკრძალავდა ლათინებთან შეთანხმებას“ (ჟუჟუნაძე, XV საუკუნის, გვ. 18). როგორც ვხედავთ, აქ საუბარია ზოგადად „ლათინებთან შეთანხმების“ და არა კონკრეტულად ფილიოკვეს საკითხის შესახებ. ასევე აღსანიშნავია სიტყვა „აკრძალვის“ არსებობაც, რაც მერ კატეგორიულობას სძენს ანტიოქიის პატრიარქის წერილს.

როების უქონლობის გამო, ამ შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის პოვნა ძნელია. თუმცა ქართული დელეგაციის სხვა წევრთა მოქმედებების საფუძველზე ამ კონკრეტულ საკითხზე მიახლოებითი და ზოგადი წარმოდგენა შეიძლება შეგვექმნას.

ამ თემაზე მსჯელობისას, საბოლოოდ, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია გაირკვეს შემდეგი საკითხი: ეკუთვნოდა თუ არა ხსენებული ქართველი ეპისკოპოსი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მთავარი ცენტრის, მცხეთის საკათალიკოსოს, იურისდიქციას და, შესაბამისად, ოფიციალურად გამოხატავდა თუ არა მის პოზიციას?

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს არ ექვემდებარებოდა ფერარა-ფლორენციის კრების ჩატარების პერიოდში. ზოგადად, ანტიოქიის იურისდიქციული პრეტენზიებისადმი წინააღმდეგობა საქართველოში ყოველთვის არსებობდა. საეპისკოპოსო ხელდასხმები არ ნიშნავს იურისდიქციულ დაქვემდებარებას (იხ. ამ თემაზე ისტორიის პროფესორის, შოთა მათითაშვილის უახლესი ნაშრომი)¹(Matitashvili 2021, 81).

ამრიგად, ანტიოქიის პატრიარქები ცდილობდნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ საქართველოს ეკლესია. როგორც ივანე ჯავახიშვილი წერს, ამის მცდელობა განსაკუთრებით მე-11 საუკუნეში გამოჩნდა, მაგრამ მაშინ ქართველთა პოლიტიკური და საეკლესიო ერთობა ძლიერი იყო. მე-15 საუკუნეში კი სამხრეთ საქართველოში ათაბაგები პოლიტიკური დამოუკიდებლობისკენ მიილტვოდნენ და, ანტიოქიის საპატრიარქოსადმი დამორჩილების გზით, მცხეთისგან საეკლესიო დამოუკიდებლობის მოპოვებაც ხელს აძლევდათ (ჯავახიშვილი 1982, 280). ამ საკითხზე აქ მცირე ისტორიული წიალსვლაა საჭირო.

საეკლესიო სეპარატიზმმა თავი სამცხე-საათაბაგოში მაშინ იჩინა, როდესაც, 1420-იან წლებში, მაწყვერელმა ეპისკოპოსმა გერასიმემ წირვისას საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მოხსენიება შეწყვიტა. სამცხელები ქართველი კათალიკოსის ნაცვლად ანტიოქიის პატრიარქს იხსენიებდნენ. მეფე ალექსანდრეს ძალისხმევით, ეს რეგიონი დაუბრუნდა მცხეთას და მაწყვერელი გერასიმე ფიცს აძლევს კათალიკოს მიქაელს (1420-1426), რომ აღარ დაემორჩილებოდნენ ანტიოქიის პატრიარქს (ლომინაძე 1979, 723).

მან საქართველოს პატრიარქს - მიქაელ IV-ს (1419-1426) ერთგულება შეჰფიცა (ერთგულების წიგნიც, ანუ ის წერილობითი დოკუმენტიც მისცა, სადაც ერთგულების ფიცი იყო ასახული). (ქართული სამართლის

1 ნაშრომი ხელმისაწვდომია ავტორის პროფილზე: academia.edu. ნაშრომის შემოკლებული და პოპულარული ენაზე გადმოცემული ვერსია იხ. ავტორის ბლოგზე: <https://shotamatitashvili.blogspot.com/2021/11/blog-post.html>

ძეგლები 1970, 183). როგორც ჩანს, ამგვარი მცდელობანი განახლდა კათალიკოს-პატრიარქ დავით IV-ის დროიდან (1443-1459), რადგან კუმურდოს ეპისკოპოსი იოანე და ანჩის არქიმანდრიტი ქერუბიმი დავითს კვლავ ერთგულებას ეფიცებოდა. იმავე ერთგულების ფიცს აძლევენ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ვარძიისა და საფარის მონასტერთა წინამძღვრები. წყაროებიდან აშკარაა, რომ სამცხის მცხეთისაგან გამოყოფის ტენდენციის მთავარი ინიციატორები და ხელისშემწყობნი ბერძენი ეპისკოპოსები იყვნენ, რომლებიც სამცხის ანტიოქიისადმი დაქვემდებარებას ცდილობდნენ (ლომინაძე 1979, 734-735).

მცხეთისადმი ყველაზე დიდი ურჩობის მცდელობამ (რაც, საბოლოოდ, წარმატებით დასრულდა) თავი არა სამცხეში, არამედ დასავლეთ საქართველოში იჩინა, თუმცა ეს ფერარა-ფლორენციის კრების (1438-1439) შემდეგ ხდება. ანტიოქია-იერუსალიმის პატრიარქმა მიქაელმა (1454-1476) აფხაზეთის კათალიკოსად ხელი დაასხა ცაიშელ-ბედიელ ეპისკოპოს იოაკიმეს (ეს დაახლ. 1470-1474 წლებში უნდა მომხდარიყო). იოაკიმეს ხელდასხმის ლეგიტიმიციისთვის შედგა სპეციალური საეკლესიო დოკუმენტი „მცნებაჲ სასჯულო“. იოაკიმეს ტახტზე ასვლის შემდეგ დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსო მცხეთის იურისდიქციის გარეთ აღმოჩნდა (ქორიძე 2002, 6-10; ქორიძე 2013, 152-180). ეს ხელდასხმა მძიმე კანონიკური დარღვევა იყო, რადგან, თუკი იბერიამე ანტიოქიის საყდრის პრეტენზიებს გარკვეული ისტორიული საფუძველი შეიძლება გამოენახოს (თუმცა სრულიად ტენდენციურ წყაროებზე დაფუძნებული), საყოველთაოდ ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოზე ანტიოქიის საეკლესიო იურისდიქცია არასდროს ვრცელდებოდა და ეს სრულიად ცხადია ბიზანტიური წყაროებიდან (მეათე საუკუნემდე დასავლეთ საქართველო ყოველთვის კონსტანტინეპოლის პატრიარქთა საეკლესიო ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდა).

ამრიგად, ძნელი წარმოსადგენი არაა, თუკი დასავლეთ საქართველოზე ანტიოქიის პატრიარქები ასეთ პრეტენზიას აცხადებდნენ, რა გეგმები ექნებოდათ მათ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოსთვის (ყოფილი იბერიის სამეფოს მიწა-წყალი), რაშიც მათ ადგილობრივი სამღვდელთაგან (და საერო ხელისუფლება - სამცხის შემთხვევაში) უწყობდათ ხელს.

ასე რომ, ფერარა-ფლორენციის კრების (1438-1439) პერიოდში ანტიოქიის პატრიარქის ზოგადი გავლენა სამცხე საათაბაგოზე ძალიან ძლიერი იყო, რასაც ცვალებადი ხასიათი ჰქონდა. ამიტომ, მაღალი ალბათობით, სამცხედან იყო ფლორენციის კრებაზე ანტიოქიის პატრიარქის წერილით მოხელმძღვანელებ კონკრეტული ქართველი ეპისკოპოსი (მამისთვალისიშვილი 2021, 542), რომელსაც ანტიოქიის პატრიარქის ერთგულება საკუთარ წმიდა მოვალეობად მიიჩნდა.

დავებრუნდეთ კრების მსგელობას. სიროპულოსი წერს, რომ ანტიოქიის პატრიარქის წერილის ჩვენების შემდეგ ქართველმა ეპისკოპოსმა სალოსივით ქცევა და იტალიის სხვადასხვა ადგილებში შეშლილივით ხეტიალი დაიწყო. სხვა სიტყვებით, ის არც კი ცდილა წერილში გამოთქმული პოზიციის არგუმენტირებულ დაცვას (მოსალოდნელი ზეპირსიტყვიერი დებატის დროს). როგორც ჩანს, ამისთვის მზად არ იყო ან საჭიროდ აღარ ჩათვალა. ქართველი მოხელე¹ კი რომში გამგზავრა მაშინ, როდესაც შეიტყო, რომ ბერძნული და ლათინური ეკლესიები გაერთიანებას აპირებდნენ. „ასე რომ, ივერთაგან არავინ დასთანხმებია უნიას: მათ ამას თავი აარიდეს“ (Syropoulos 1971, 463).

პაპი და ფილიოკვე

სიროპულოსის სიტყვით, ივერიელი მოხელე კრების დასრულებამდე რომის პაპმა „ცალკე იხმო“ კერძო გასაუბრებაზე, რომლის დროსაც ქართველი ერისკაცი პაპს ურჩევს, რომ მრწამსიდან ფილიოკვე ამოიღოს: „თუ შენ მოხსნი დამატებას, მაშინ არა მხოლოდ ივერიელები, არამედ ყველა ქრისტიანული ეროვნება დაემორჩილება რომის ეკლესიას ჭეშმარიტი კავშირის ფარგლებში“ (Syropoulos 1971, 465)².

ლათინური და ბერძნული ეკლესიების გაერთიანების გზაზე არა მხოლოდ ფილიოკვესთან დაკავშირებული, არამედ მრავალი სხვა დაბრკოლებაც არსებობდა. ეს დაბრკოლებები კი განფენილი იყო არა მხოლოდ დოქტრინალური იდეებისა და კანონიკურ, დისციპლინარულ და წეს-ჩვეულებების სფეროებში (ფილიოკვე, პაპის პირველობა, განსაწმენდელი, უსაფუარო პურის საკითხი, შაბათის მარხვა და მრავალი სხვა), არამედ ასევე – პოლიტიკურ, კულტურულ, სოციალურ-ეკონომიკურ თუ სამხედრო სფეროებშიც. საინტერესოა, რომ მე-18 საუკუნეში მოღვაწე ქართველი კათალიკოს-პატრიარქი ბესარიონ ორბელიანი უფრო ღრმა ცოდნას ავლენს ამ კონტროვერსიული საკითხების შესახებ (მართალია, ტენდენციურ ცოდნას, ხშირად უხეში შეცდომებით), როდესაც ფერარა-ფლორენციის კრებასთან მიმართებაში საუბრობს.

1 ლორანის აზრით, ეს მოხელე (არქონტი) უნდა ყოფილიყო გიორგი ივერიელი, ქართველი მეფის ალექსანდრეს (1413-1442) ძმისწული ან დისწული.

2 სიროპულოსის სიტყვების ქართული თარგმანი იხ.: ვათეიშვილი, ფერარა-ფლორენციის კრება, გვ. 297. პაპთან ამ დიალოგის შესახებ, რომლის დროსაც კონტროვერსიულ საკითხებს შორის მხოლოდ ფილიოკვე იხსენიება, ისტორიკოსი მირიან მახარაძე აღფრთოვანებით წერს, „თუ როგორ არ დაჰყაბულდა ქართველი [რომის პაპს, დ.თ.] მართლმადიდებლობის შეცვლას“ (მახარაძე, მირიან. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში. თბ., არტანუჯი 2005, გვ. 83). ქართველი ისტორიკოსის ამგვარი რეპლიკის პათოსის გადაჭარბებულობა საკმაოდ თვალში საცემია.

იგი წერს, რომ ამ კრების ლათინმა მონაწილეებმა „დაარღვიეს ყველა წესი და კანონი, რომლებიც მამებისა და მოციქულთა მიერ იყო მოცემული და ამათი საწინააღმდეგო რამ თქვეს და ქნეს და დაამტკიცეს“ (ობელიშვილი 2013, 50-52).

მაგრამ იქნებ ქართველი დელეგატი, ფილიოკვეს გარდა, არცერთ სხვა კონტროვერსიულ საკითხებს არ თვლიდა პრობლემურად და ამიტომ არ ახსენებდა მათ? ამ დადებითი ვარაუდის დაშვება შესაძლებელია? ალბათ, არა. ფერარა-ფლორენციის კრებაში მონაწილე ქართველებიც, რომლებიც ანტილათინურად იყვნენ განწყობილნი (ანტიოქიის პატრიარქის გავლენით), მაღალი ალბათობით, იზიარებდნენ კიდევ აღმოსავლელთა პოზიციებს ლათინთა „მრავალი ერების“ შესახებ.

ქართველი დელეგატი პაპთან საუბარში ოდენ ფილიოკვეს ახსენებს და საერთოდ არ ავლენს საკუთარ ცოდნას სხვა საკითხების შესახებ. როგორც მინიმუმ, მას აუცილებლად უნდა ესხენებინა სხვა, არანაკლებად სადაო, საკითხები (მაგ., პაპის პრიმატი, განსაწმენდელი და სხვა). თუნდაც მხოლოდ ამიტომ, ძნელია გავიზიაროთ ქართველი ისტორიკოსის, ოთარ ჟუჟუნაძის, ცალსახა და კატეგორიული მტკიცება, რომ პაპთან ეს დიალოგი „გვიჩვენებს ქართველი ერისკაცის ფართო განათლებას“ (ჟუჟუნაძე 1970, 20). ელდარ მამისთვალიშვილიც წერს, რომ აღნიშნულმა ქართველმა „დაამტკიცა, რომ კარგად ერკვეოდა თეოლოგიურ საკითხებში“ (მამისთვალიშვილი 2021, 530).

პაპთან დიალოგში ასევე ჩანს, რომ ქართველ დელეგატს არაადეკვატური წარმოდგენა აქვს ეკლესიების გაერთიანების თემაზე. იგი აღნიშნავს, რომ, თუ პაპი ფილიოკვეს უარყოფს, მაშინ „ყველა ქრისტიანი ხალხი დაექვემდებარება“ რომის პაპს. ასეთი გულუბრყვილო წარმოდგენა კიდევ ერთხელ მოწმობს თეოლოგიური დისკუსიებისა და საერთაშორისო საეკლესიო პოლიტიკის სფეროში ქართველი მონაწილის ცოდნის ზედაპირულობაზე.

ვინ არის არისტოტელე?

სიროპულოსი ამავე ქართველ ერისკაცზე წერს, რომ, როდესაც ლათინმა გამომსვლელმა მრავალჯერ დაიმოწმა ფილოსოფოსი არისტოტელე, მან გვერდით მჯდომ სიროპულოსს ხელი გაკრა და უთხრა: „ო, ეს არისტოტელე, არისტოტელე! ეს ძალზე ნათელი არისტოტელე!“ (ვათეიშვილი 2014, 301)³

³ ფერარა-ფლორენციის კრება, გვ.. ამ რეპლიკის მჭედლიძისეულ თარგმანში, რომელიც ასევე ლორანის გამოცემას ემყარება, არისტოტელესთან მიმართებით სიტყვა „ნათელი“ არ გვაქვს: „რა არის ეს არისტოტელე, არისტოტელე? არ არის კარგი არისტოტელე“ (მჭედლიძე 2009, 60). ჟუჟუნაძისეულ თარგმანში კი,

როდესაც ამ შემუარების ავტორი მას ეკითხება, მამ ვინ არის ნათელი და კარგი, ქართველი პასუხობს: „წმ. პეტრე, წმ. პავლე, წმ. ბასილი, გრიგოლ თეოლოგი, ხრიზოსტომოსი. რა არის ჩვენთვის არისტოტელე, არისტოტელე“(ვათეიშვილი 2014, 301). სიროპულოსი იქვე წერს, რომ აღნიშნული ქართველი მონაწილე

„მოსაუბრის ირონიზებას ახდენდა და იერით, ხელისა და თავის ქნევით აკნინებდა მას, უფრო მეტად კი — ჩვენ, რომლებიც ამგვარ მოძღვრებს ვიყავით აყოლილნი. ამ ამბის გადმოსაცემად სიტყვას გადავუხვიე, რათა მეჩვენებინა, რომ არა მხოლოდ ანგარიშგასაწევი ჩვენებურნი, არამედ ასევე უცხო ენაზე მოლაპარაკე გაუნათლებელი ადამიანებიც კი განსჯიდნენ ლათინებს და რომ უსწავლელი ბარბაროსი პაპის მასწავლებლად მოგვევლინა“(Syropoulos 1971, 465)!

თუკი დავუშვებთ, რომ ამ ქართველმა ერისკაცმა არ იცოდა, ვინ იყო არისტოტელე, ეს არც იქნებოდა დიდად გასაკვირი. გავიხსენოთ, ეს ის პიროვნებაა, რომელმაც ძალიან მწირი ცოდნა გამოავლინა ქრისტიანულ თეოლოგიაში, გლობალურ საეკლესიო პოლიტიკასა და ბერძნულ-ლათინური დოქტრინალური პოლემიკების ხანგრძლივ ისტორიაში და, ძალიან გულუბრყვილოდ, მხოლოდ ფილიოკვეს უარყოფა მიაჩნდა რომის ეკლესიასთან გაერთიანების საკმარის საფუძვლად.

ამას გარდა, სიროპულოსიც იქვე მიუთითებს მის გაუნათლებლობაზე და აღნიშნავს, რომ „უსწავლელი ბარბაროსიც კი პაპის მასწავლებლად მოგვევლინა“. გასაგებია, რომ ბერძნებს ყოველთვის ახასიათებდათ ამგვარი ქედმაღლობა ქართველების მიმართ, მაგრამ ამ შემთხვევაში კონკრეტული ფაქტებითა და გარემოებებით დასტურდება

რომელიც 1660 წლის სიროპულოსის გამოცემას ეყრდნობა, აღნიშნული სიტყვა „ნათელი“ შენარჩუნებულია: „მართლაც და ის არისტოტელე, არისტოტელე! ოო, მეტად ნათელი არისტოტელე!“ (ჟუჟუნაძე 1970, 20). ჯოზეფ გილი ამ ქართველის სიტყვებს, რომელიც, სიროპულოსის 1660 წლის გამოცემის მიხედვით უნდა იყოს გადმოცემული, რადგან მას 1971 წელს გამოცემული ლორანის გამოცემის გამოყენების საშუალება ჯერ კიდევ არ ექნებოდა, ამგვარად გადმოგვცემს: “He said: ‘What about Aristotle, Aristotle? A fig for your fine Aristotle’. And when I by word and gesture asked: ‘What is fine?’, the Georgian replied: ‘St Peter, St Paul, St, Basil, Gregory the Theologian; a fig for your Aristotle, Aristotle’” (Syr. x, 12, p. 270, ციტირ.: Gill, Joseph. The Council of Florence. Cambridge: CUP 1959, p. 227). ქართულად, ალბათ, ასეთი სახე ექნება გილის თარგმანით მოცემულ ფრაზას: „რა არის ეს არისტოტელე, არისტოტელე? ჯანდაბას ეს თქვენი ბრწყინვალე (ან ნათელი) არისტოტელე“.

1 ეს პასუხი აქ მოცემულია მჭედლიძისეული თარგმანით (მჭედლიძე, ერთი ბერძნული წყარო, გვ. 60), რადგან ვათეიშვილთან ეს სიტყვები არ მოიპოვება.

კრების მონაწილე ქართველების არასაკმარისი ცოდნა, კვალიფიკაცია თუ ინტელექტუალური მზაობა.

ზოგადად, ლათინთა სქოლასტიკური თეოლოგიისა და მასში ჭარბი არისტოტელიანიზმის წინააღმდეგ ქართველის მიერ გამოხატულ ანტიპათიას (არ აქვს მნიშვნელობა ცოდნისა თუ უცოდინრობის საფუძველზე) შინაგანად ბერძნებიც ეთანხმებოდნენ და სწორედ ამაზე მიუთითებს კათოლიკე ავტორი, ჟოზეფ გილი, რომელიც ფლორენციის კრებისადმი მიძღვნილ თავის ცნობილ კლასიკურ მონოგრაფიაში წერს, რომ სინამდვილეში ქართველმა არისტოტელეს შესახებ ამ სიტყვებით ის აზრი გამოხატა, რასაც ბერძენი იერარქები ფიქრობდნენ (Gill 1959, 227). ამ კუთხით, სიმართლესთან ახლოს შეიძლება იყოს ქართველი ისტორიკოსის, ჯუანშერ ვათეიშვილის, მოსაზრება, რომ ქართველი დელეგატისთვის მიუღებელი იყო არა თავისთავად არისტოტელე, არამედ „ლათინელთა მიერ მასზე გაუთავებელი და უადგილო მითითებების შეუსაბამობა“ (ვათეიშვილი 2014, 303).

როგორც ზემოთ ვნახეთ, ფილიოკვეს შესახებ პაპთან დიალოგისა და ანტიოქიის პატრიარქის ინსტრუქციის ჩვენებასთან დაკავშირებით, ისტორიკოსი ოლეგ ჟუჟუნაძე ქართველი დელეგატის „ფართო განათლებაზე“ საუბრობდა. იგი აგრეთვე არისტოტელესთან დაკავშირებულ შემთხვევაზეც აღნიშნავს, რომ „ეს ცნობა... ძალიან კარგად გვიჩვენებს, თუ რამდენად განსწავლული იყო იმ დროის ქართველი ერისკაცი ფილოსოფიის საკითხებში“ (ჟუჟუნაძე 1970, 21). იმავეს იმეორებს ისტორიკოსი მირიან მახარაძე, ეყრდნობა რა ოთარ ჟუჟუნაძის ხსენებულ ნაშრომს, და აღნიშნავს, რომ „სიროპულოსის გადმოცემით, ქართველთა დელეგაცია ღრმად განსწავლული იყო“ (მახარაძე 2005, 83). ჯუანშერ ვათეიშვილი კი ქართველის მიერ ფილიოკვეს ამოღების დაჟინებულ მოთხოვნასთან დაკავშირებით წერს, რომ ეს „გვიდასტურებს მის არა მხოლოდ ფართო განათლებასა და მჭევრმეტყველებას, არამედ იმ თეოლოგიური საკითხების ღრმა ცოდნასაც, რომლებიც კრებაზე ასე მძაფრად განიხილებოდნენ“ (ვათეიშვილი 2014, 300).

როგორი პატრიოტიზმითა და სხვა კეთილი სურვილებითაც არ უნდა იყოს ნაკარნახევი თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა აღნიშნული ინტერპრეტაციები, ფაქტია, რომ სიროპულოსი საპირისპიროს წერს, რომლის მიხედვით, კრებაზე მონაწილე ქართველები გაუნათლებლები („უსწავლელი ბარბაროსები“) იყვნენ (Syropoulos 1971, 465). მირიან მახარაძეს ამის საპირისპიროდ შემდეგი არგუმენტი აქვს: ქართველის განსწავლულობა არისტოტელესა და ქრისტიანი წმიდანების შედარებაში გამოიხატა (მახარაძე 2005, 83). მაგრამ სიროპულოსის მოცემულ წყაროში (რასაც ხსენებული ავტორები ეყრდნობიან) არც პირდაპირი

მოწმობა და არც რაიმე მინიშნება არ არსებობს, რომ ქართველი მონაწილის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში მოცემული იყო აუცილებელი მსჯელობა ფილოსოფიური, თეოლოგიური და ისტორიული არგუმენტებით, რაც ნამდვილად დაგვარწმუნებდა ქართველის განსწავლულობასა და მის მიერ ღრმა ფილოსოფიურ-თეოლოგიური ცოდნის ფლობაში. მაგრამ ამის ნაცვლად იგი წარმოთქვამს უბრალო რეპლიკას, გვესმის მართივი წამოძახილი და აღშფოთების გამოხატვა არისტოტელეს ხშირი დამოწმების მიუღებლობასთან დაკავშირებით.

ასევე ვათეიშვილის ვარაუდით, ქართველი დელეგატი, შესაძლოა, შემდეგ ამბს გამოხატავდა: „რამდენად შეეძლო არისტოტელეს სწავლებას, რომელიც ქრისტეს დაბადებამდე რამდენიმე საუკუნით ადრე შეიქმნა, ემოქმედა, მით უმეტეს დადებითად, ფერარა-ფლორენციის კრებაზე კათოლიკეებსა და მართლმადიდებლებს შორის დაპირისპირებაზე?“ (ვათეიშვილი 2014, 301, შენ. 56) გასაგებია ავტორის სურვილი, როგორმე მიხედეს, თუ რას გულისხმობდა და რა მოტივაცია ჰქონდა შუა საუკუნეებში მცხოვრებ ქართველს, როცა ამ უმოკლეს რეპლიკას წარმოთქვამდა. მაგრამ, ვფიქრობ, ძალიან ხელოვნური და ნაძალადეგია მსგავსი განმარტებები. ამიტომ ასეთი ინტერპრეტაციები სასურველის რეალობად წარმოჩენის სფეროს უფრო განეკუთვნება.

ბუნებრივია, ეს ვითარება (ოდენ წამოძახილი და არა სიღრმისეული მსჯელობა) ბოლომდე არ გამორიცხავს ქართველის მიერ არისტოტელეს ცოდნასა თუ ზოგადად ფილოსოფიასა და თეოლოგიაში განსწავლულობას. თუ ვინმე რაიმე კონკრეტულ ვითარებაში რომელიმე საკითხზე არ ავლენს თავის ცოდნას, ავტომატურად არ ნიშნავს, რომ ეს ცოდნა მას არ აქვს. მის ამ რეპლიკაში შესაძლებელია ასევე ირონიული ელფერისა და მნიშვნელობის დაღანდვაც.

საინტერესოა, თუ რა ვითარება იყო საქართველოში არისტოტელეს შესახებ ცოდნის გავრცელებულობასთან დაკავშირებით, მათ შორის მე-15 საუკუნეში? ამის ცოდნა მინიმალურ ბაზისს მაინც შეგვიძაძებს სწორი დასკვნების მიმართულებით სვლაში. პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის ქართული თარგმანები ცნობილი არაა. მაგრამ ქართულ ინტელექტუალურ წრეებში არისტოტელეს შესახებ გარკვეული ცოდნა მაინც უნდა არსებულებო. მაგ., მე-15 საუკუნემდე არსებობდა მცირე ზომის კრებულები, რომლებიც არისტოტელედან აღებულ სენტენციებს მოიცავდა. ამ მხრივ, გამოკრებილი გნომების ერთი საინტერესო კრებული იყო „სიბრძნისაგან მრავალთა ფილოსოფოსთაისა“. როგორც ცნობილია, შუა საუკუნეების ქართველი მოაზროვნეები, განსაკუთრებით კი იოანე პეტრიწი, იცნობდნენ არისტოტელეს ნაშრომებს და სათანადოდ იყენებდნენ მათ (ირემაძე 2021). მაგრამ არ გვაქვს

მოწმობა იმის შესახებ, ფლორენციის კრებაზე მონაწილე ქართველს რა ცოდნა ჰქონდა არა მხოლოდ არისტოტელეს, არამედ ზოგადად ფილოსოფიასა და თეოლოგიაში. სიროპულოსთან შემორჩენილი ცნობა ამის გარკვევის საფუძველს არ იძლევა.

ქართველების ხელმოწერის საკითხი

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიროპულოსის უწყებით, „ივერთაგან არავინ დასთანხმებია უნიას“ (Syropoulos 1971, 463). საბოლოოდ, რამდენი ივერიელი ესწრებოდა ამ კრებას? სხვადასხვა ცნობის შეჯერებით, მინიმუმ ორი ეპისკოპოსი და ერთი ერისკაცი (იხ. ქვემოთ).

მაგრამ ჩვენამდე მოღწეული ყველა ისტორიული ცნობა როდი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ხელი ქართველ ეპისკოპოსთაგან არცერთს მოუწერია. ამ კუთხით, სახსენებელია იოანე ბატონიშვილის მიერ 1813-1828 წლებში შექმნილი თხზულება „კალმასობა“, რომელშიც მოცემულია ცნობები ფლორენციის კრებაზე მონაწილე ქართველების შესახებაც. ესენი იყვნენ ახტალელი ეპისკოპოსი დანიელი და თავადი ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი („აღმწერმან საგალობელთა და დასდებელთა ქართველთ წმიდათასა“), რომლებმაც არ მოაწერეს ხელი გაერთიანების დეკრეტს. „არცა ანტიოხიისა პატრიარხმან არა მოაწერა ხელი“. მაგრამ, საინტერესო ისაა, რომ, მათგან განსხვავებით, „იმერეთისა ეპისკოპოსმან, იაკობ შემოდგომელმან [ანუ შემოქმედელმა, დ.თ.] მოაწერა ხელი“ (ბატონიშვილი 1991, 350). როგორც ვხედავთ, ამ წყაროს მიხედვით, ქართული დელეგაციიდან ერთმა ეპისკოპოსმა რადიკალურად საპირისპირო, ანუ პრო-ლათინური პოზიცია დაიჭირა და ფლორენციის უნია გაიზიარა.

ვეცადოთ „კალმასობაში“ ნახსენები პირების იდენტიფიცირებას. ახტალელი ეპისკოპოსის სამწყსო მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციაში შედიოდა. ამის თქმა სავსებით შესაძლებელია, რადგან ჯერ კიდევ მე-12 საუკუნიდან, როცა ჩრდილოეთ სომხეთის მიწები საქართველოს შემოუერთდა, ახტალის, ანუ აგარაკის, კათედრალზე დადგენილი მიტროპოლიტი, რომელსაც „დიდი სომხეთის მიტროპოლიტი“ ეწოდებოდა, მართავდა მართლმადიდებლურ თემს და ემორჩილებოდა მცხეთის საკათალიკოსოს (ჭილაძე 2019, 163-182). როგორც ცნობილია, ივანე ათაბაგმა სომხებს ჩამოართვა აღნიშნული ტერიტორია, რომელზეც ახტალას ქართული მონასტერი ააშენა. ამ მხარეში სამონასტრო ცხოვრება ინტენსიურად ვითარდება მე-13 საუკუნიდან (ბერძენიშვილი 1979, 124).

რაც შეეხება იმერელ ეპისკოპოსს, იაკობს: იგი შემოქმედის ეპარქიიდან ყოფილა. ისტორიკოს ანანია ჯაფარიძის მითითებით, იაკობი,

ალბათ, აფხაზეთის საკათალიკოსოდან წარიგზავნა. ამგვარად, მისივე დასკვნით, „იბერიის მეფეს თავის სახელმწიფოში შემავალი ორივე საეკლესიო ერთეულის წარმომადგენლები მიუვლენია ფლორენციის კრებაზე“ (ჯაფარიძე 2003, 294). იგულისხმება, რომ ქვეყანაში არსებობდა ორი, მცხეთისა და ბიჭვინთის, საკათალიკოსოები და მეფემ სწორედ ამ ორივე საეკლესიო ერთეულიდან გაგზავნა წარმომადგენელი.

აქ საჭიროა მოკლედ აღინიშნოს იმის შესახებ, თუ რა ურთიერთმართება ჰქონდა ამ ორ საკათალიკოსოს. მე-14 საუკუნეში აფხაზეთის კათალიკოსი „ემორჩილებოდა“ მცხეთის კათალიკოს-პატრიარქს¹. ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი მე-13 მე-15 საუკუნეების დოკუმენტების ანალიზის შედეგად ასკვნის, რომ „ქართლის კათალიკოსი სრულიად საქართველოს ეკლესიის უზენაესი საჭეთმპყრობელია“ (...) თუმცა „საშინაო საეკლესიო საკითხების მოწესრიგებაში აფხაზეთის კათალიკოსი დამოუკიდებელია“ (ბერძენიშვილი 1971, 88, 100). აქ, სავარაუდოდ, უნდა იგულისხმებოდეს, რომ საგარეო პოლიტიკაში დასავლეთ საქართველოს პირველ იერარქს დამოუკიდებელი მოქმედების საშუალება არ უნდა ჰქონოდა.

მაგრამ იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, იმერელი ეპისკოპოსი იაკობი აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენლების საპირისპიროდ იქცევა ფლორენციის კრებაზე. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ იაკობს დამოუკიდებელი მოქმედების უფლება ჰქონდა? ან იმას, რომ აფხაზეთის კათალიკოსის დავალებით მოქმედებდა? ან იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს საერო (მეფე) და საეკლესიო (კათალიკოსი) ხელისუფლისგან ანტი-ლათინური პოზიციის გამოხატვის მითითება ჰქონდა, რომელსაც არ დაემორჩილა? ამ შეკითხვებზე პასუხის გაცემა ახლა შეუძლებელია და არცაა საჭირო, სანამ „კალმასობის“ ამ ცნობის სანდოობა არ დადასტურდება. რატომაა ძნელი ამ თხზულების ნდობა?

ჯერ ერთი, იგი დაწერილია ფლორენციის კრებიდან დაახლოებით სამი საუკუნის შემდეგ და, რაც მთავარია, არ შეიცავს წყაროზე მითითებას. ამასთან, შეიცავს უხეშ შეცდომებს. მაგ., კალმასობის მიხედვით, ფერარა-ფლორენციის კრებას ესწრებოდნენ მხოლოდ ბიზანტიიდან, რუსეთიდან და საქართველოდან: „შეკრიბეს მუნ ყოვლის კერძოდამ აღრჩევით ოცდახუთნი ეპისკოპოსნი საბერძენით, რუსეთით და საქართველოდამ“ (ბატონიშვილი, 1991, 350). ამას გარდა, კალმასობაში ფიქსირდება ასევე ანაქრონიზმიც. მასში ნახსენები ეპისკოპოსი იაკობ 1 იხ. მე-14 საუკუნის საქართველოს პოლიტიკური წყობილების ამსახველი დოკუმენტი: „კარის გარიგება“, გვ. 128, პარაგ. 34, ციტირ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომის რედ.: ზურაბ ანჩაბაძე, ვიქტორ გუჩუა. ტომი III. თბ., საბჭოთა საქართველო 1979, გვ. 654.

შემოქმედელი და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი მე-17 საუკუნის მოღვაწეები არიან. იაკობი ეპისკოპოსად ეკურთხა 1647 წელს (ქართველიშვილი 2006, 45) და გარდაიცვალა 1658 წელს (კლდიაშვილი და სურგულაძე 1993, 393-394). მკვლევრები ასკვნიან, რომ გურიაში შემოქმედის საეპისკოპოსო მე-15 საუკუნის მეორე ნახევარზე ადრე არ უნდა დაარსებულიყო (ქართველიშვილი 2002, 19).

მეორეც, ქართველების ხელმოწერა არ ფიქსირდება უნიის დეკრეტზე და ეს დადასტურებულია სიროპულოსის მემუარებზე დართულ რეპროდუქციაში ფლორენციის უნიის დეკრეტის ავთენტური ასლის მიხედვით (პარიზის ბერძნული ხელნაწერი) (მჭედლიძე 2011, 439). ანდრია დი სანტა კროჩეს „ლათინურ აქტებში“ კი აღნიშნულია, რომ იბერიელებმაც მოაწერეს ხელი, მაგრამ, როგორც ოლეგ ჟუჟუნაძე წერს, „ჩვენ ვნახეთ ამ დოკუმენტის ფოტოფირი, რომელზედაც ქართველების ხელმოწერა არ არის“ (ჟუჟუნაძე 1970, 17). „ბერძენთა აქტები“ კი არაფერს ამბობს ქართველების ხელის მოწერაზე და არც ხელის არ მოწერაზე².

დაბოლოს, აღსანიშნავია, რომ მე-18 საუკუნის ერთ ქართულ წყაროში გაკვრითაა ნახსენები ფლორენციის კრებაზე სხვა ქართველი დელეგატის სახელი. ვახუშტის ცნობით, ამგვარი პიროვნება იყო ქართველი მიტროპოლიტი, ვინმე სოფრონი (ბატონიშვილი 1973, 281). სამწუხაროდ, არ ვიცით, მან რა პოზიცია დაიჭირა.

ბოლოსიტყვა

ქართველი დელეგატების მიერ დაფიქსირებული ანტიკათოლიკური პოზიციის გაიგივება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ოფიციალურ პოზიციასთან გაჭირდება. ამისთვის არ არსებობს შესაბამისი წყაროები, რომლებიც აჩვენებდა, რომ იტალიაში გამართულ ამ კრებაზე მონაწილე ქართველ დელეგატთა ანტი-ლათინური საეკლესიო პოზიცია საქართველოში გაიზიარა საეკლესიო ელიტამ, საერო ხელისუფლებამ ან ხალხმა, როგორც ეს ბიზანტიაში მოხდა მარკომ ეფესელისა და მისი თანამოაზრეების დაბრუნების შემდეგ. ამის შესახებ არავითარი ინფორმაცია არაა მოცემული არც ქართულ და არც უცხოურ წყაროებში. რა გასაკვირია, რომ ეს გარემოება წინამორბედმა მკვლევარმაც ადვილად შენიშნა, კერძოდ, ნუგზარ პაპუაშვილმა, რომელიც საკვებით სამართლიანად და მოკლედ მიუთითებდა შემდეგს: „თუკი იმდროინდელი საქართველოს კულტურულ ელიტას ანტიკათოლიკობა ახასიათებდა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს ტენდენცია რატომ არ აისახა?“ (პაპუაშვილი 2009, 224).

² Acta Graeca 465-467, ციტირ.: მჭედლიძე, ქართველები ფერარა-ფლორენცის, გვ. 439.

ამრიგად, არ ვიცით ფლორენციის უნიის მიმართ რა დამოკიდებულება არსებობდა ქართულ საერო და საეკლესიო ხელისუფლებებში. მაგრამ შემორჩენილი წყაროებით ვიცით, რომ ამ უნიის მიმართ ინტერესი არსებობდა. უფრო მეტიც, ზოგჯერ არსებობდა მზაობაც მისი მიღებისა. მაგ., ამ უნიით ინტერესდება ქართველი მეფე კონსტანტინე II, რომელიც წერილსაც კი უგზავნის პაპს და სთხოვს აღნიშნული კრების გადაწყვეტილებების გამოგზავნას. პაპი მას 1496 წლის 8 ივნისით დათარიღებული წერილით პასუხობს, რომლის სახელწოდებაა – “ქართველთა მეფეს კონსტანტინეს, რომელიც პაპ ალექსანდრე VI-ს სთხოვს სარწმუნოების განმარტებას და ფლორენციის წმ. კრების გადაწყვეტილებებს” (ტაბალუა 1984, 108; თამარაშვილი 2011, 64-67) 1. პაპი წერილში მოუწოდებდა ქართველ მეფეს, რათა ფლორენციის უნია “გავრცელონ და მიიღონ შენი ქვეყნის ყველა პროვინციაში” (ტაბალუა 1984, 219) 2.

შესაძლებელია ასევე იმის თქმაც, რომ საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე მის არცერთ მხარეში არ ჩატარებულა საეკლესიო კრება, რომელზეც რომის კათოლიკური ეკლესია ერეტიკულადაა გამოცხადებული ან თუნდაც მხოლოდ გაკრიტიკებული (განსხვავებით მეზობელი ქრისტიანული იმპერიებისა თუ სამეფოებისგან: ბიზანტია, რუსეთი, სომხეთი). ასევე არცერთ ქართულ საეკლესიო კრებას დაუგმია ფლორენციის უნია, თვით ისეთ მასშტაბურ და თავისი მნიშვნელობით გამორჩეულ რუის-ურბნისის კრებაზეც კი (1104 წ.) არაფერია ნათქვამი ლათინებზე.

აქვე საჭიროა მივუთითოთ დიდი განხეთქილების შემდგომ მოღვაწე გამოჩენილი ქართველი მართლმადიდებელი წმიდანების (გიორგი ათონელი, არსენ იყალთოელი და სხვა) ლათინი ქრისტიანებისადმი არსობრივად დადებითი დამოკიდებულებანიც... ამგვარი ზოგადი კონტექსტის წარმოდგენა კი აუცილებელია, როდესაც ფერარა-ფლორენციის კრების იდეაზე — ქრისტიანთა ურთიერთდაახლოვებასა და გაერთიანებაზე ვმსჯელობთ.

ცხადია, ამ ყველაფრის შესახებ საუკუნეების მანძილზე შესანიშნავად იყვნენ ინფორმირებულნი რომში (მაგ., გიორგი ათონელის მიერ ბიზანტიის იმპერატორის წინაშე წარმოთქმული პროლათინური სიტყვის ლათინური თარგმანიც კი იყო ევროპაში გავრცელებული). შესაძლოა, ფლორენციის კრებაზე ამიტომაც გამოიწვია ლათინური მხარის, კერძოდ კი - პაპის, გაკვირვება³ ქართველი მონაწილეების ანტიკათოლიკურმა პოზიციამ.

1 აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამარაშვილი საერთოდ არ განიხილავს ფლორენციის კრებაზე ქართველების მიერ დაფიქსირებულ ანტიკათოლიკურ პოზიციას.

2 წერილის სრული ტექსტი იხ. ტაბალუას აღნიშნულ გამოცემაში: გვ. 217-219.

3 აღნიშნულ გაკვირვებაზე მიუთითებს ასევე ნუგზარ პაპუაშვილიც (პაპუაშვილი 2021, 107).

*ბიბლიოგრაფია
პირველწყაროები:*

- ბატონიშვილი, ვახუშტი. 1973. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება. ტომი IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
- Bat'onishvili, vakhusht'i. 1973. aghs'era sameposa sakartvelosa, kartlis tskhovreba. T'omi IV. T'ekst'i dadgenili q'vela dziritadi khelnats'eri mikhedvit simon q'aukhchishvilis mier. Tb. , sabch'ota sakartvelo
- Andreas de Santacroce, Acta Latina Concilii Florentini. Ed. by George Hofmann (CFDS VI). Rome 1955.
- Syropoulos, Sylvester. Les Mémoires du Grand Ecclésiarque de l'Église de Constantinople Sylvestre Syropoulos sur le concile de Florence (1438-1439). Ed. and trans. V. Laurent. Roma: Pontificium Institutum Orientalium Studiorum 1971.
- Theodore Xanthopoulos and Dorotheus of Mytilene (et. al?). Quae supersunt Actorum Graecorum Concilii Florentini. Pars I: Res Ferrarie Gestae (CFDS V/1). Rome 1953. Edited by Joseph Gill. Pars II: Res Florentiae Gestae (CFDS V/2), Rome 1953.

სამეცნიერო ლიტერატურა

- ბატონიშვილი, იოანე. 1991. ხუმარსწავლა ანუ კალმასობა. წიგნი მეორე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს ციალა კახაბრიშვილმა და ცოტნე კიკვიძემ. თბილისი: მერანი.
- Bat'onishvili, ioane. 1991. Khumarsts'avla anu k'almasoba. Ts'igni meore. T'ekst'i gamosatsemad moamzades tsiala k'akhabrishvilma da tsot'ne k'ik'vidzem. Tbilisi: merani.
- ბერძენიშვილი, დევი. 1979. ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან: ქვემო ქართლი. ნაკვეთი 1. თბილისი: მეცნიერება.
- Berdzenishvili, devi. 1979. Nark'vevebi sakartvelos ist'oriuli geograpiidan: kvemo kartli. Nak'veti 1. Tbilisi: metsniereba.
- ბერძენიშვილი, ნიკო. 1971. საქართველოს ისტორიის საკითხები. ტომი V. თბილისი: მეცნიერება.
- Berdzenishvili, nik'o. 1971. Sakartvelos ist'oriis sak'itkhebi. T'omi V. Tbilisi: metsniereba.

ვათეიშვილი, ჯუანშერ. 2014. ფერარა-ფლორენციის კრება და მასში ქართული ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა, მისივე წიგნში: საქართველო და ევროპის ქვეყნები: XIII-XIX სს. ურთიერთობათა ისტორიის ნარკვევები შვიდ ტომად. ტომი I. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Vateishvili, juansher. 2014. perara-plorentsiis k'reba da masshi kartuli ek'lesiis ts'armomadgenelta monats'ileoba, misive ts'ignshi: sakartvelo da evrop'is kveq'nebi: XIII-XIX ss. Urtiertobata ist'oriis nark'vevebi shvid t'omad. T'omi I. Tbilisi: ilias sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba.

თამარაშვილი, მიხეილ. 2011. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. თბილისი: სიესტა.

Tamarashvili, mikheil. 2011. Ist'oria k'atolik'obisa kartvelta shoris. Tbilisi: siest'a.

ირემაძე, თენგიზ. 2021. პლატონიზმი და არისტოტელიზმი შუა საუკუნეების ქართულ აზროვნებაში, ქართული ფილოსოფიისა და თეოლოგიის ენციკლოპედია, <http://encyclopedia.ge/ka/articles/56> [წვდომა: 24.01.2023].

Iremadze, tengiz. 2021. „p'lat'onizmi da arist'ot'elizmi shua sauk'uneebis kartul azrovnebashii“, kartuli pilosopiisa da teologiis entsik'lop'edia, [http://encyclopedia. Ge/ka/articles/56](http://encyclopedia.Ge/ka/articles/56) [ts'vdoma: 24. 01. 2023].

კლდიაშვილი, დავით და მზია სურგულაძე (შემდგ.). 1993. პირთა ანოტირებული ლექსიკონი მე-11-17 საუკუნეების ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით. ტომი II. გამოსაცემად მოამზადეს დავით კლდიაშვილმა და მზია სურგულაძემ. თბილისი: მეცნიერება.

K'ldiashvili, davit da mzia surguladze (shemdg.). 1993. P'irta anot'irebuli leksik'oni me-11-17 sauk'uneebis kartuli ist'oriuli sabutebis mikhedvit. T'omi II. Gamosatsemad moamzades davit k'ldiashvilma da mzia surguladzem. Tbilisi: metsniereba.

ლომინაძე, ბაბილინა. 1979. საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ლონსძიებები ქვეყნის აღდგენისთვის. ალექსანდრე პირველი დიდი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტომი III. რედ.: ზურაბ ანჩაბაძე და ვიქტორ გუჩუა. თბილისი: საბჭოთა საქართველო.

Lominadze, babilina. 1979. sakartvelo XV sauk'unis p'irvel nakhevarshi. Ghonisdziebebi kveq'nis aghdgenistvis. Aleksandre p'irveli didi, sakartvelos ist'oriis nark'vevebi. T'omi III. Red. : zurab anchabadze da vikt'or guchua. Tbilisi: sabch'ota sakartvelo.

მამისთვალიშვილი, ელდარ. 2021. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაში ქართველების მონაწილეობის საკითხისათვის, მისივე წიგნში: საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია. ტომი V (13-15-ე საუკუნეები). გორი: გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

Mamistvalishvili, eldar. 2021. perara-plorentsiis saek'lesio k'rebashi kartvelebis monats'ileobis sak'itkhisatvis, misive ts'ignshi: sakartvelos sagareo p'olit'ik'a da dip'lomat'ia. T'omi V (13-15-e sauk'uneebi). Gori: goris sakhelmts'ipo sasts'avlo universit'et'is gamomtsemloba.

მახარაძე, მირიან. 2005. საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობები XV საუკუნეში. თბილისი: არტანუჯი.

Makharadze, mirian. 2005. Sakartvelo-osmaletis urtiertobebi XV sauk'uneshi. Tbilisi: art'anuji.

მეტრეველი, როინ (რედ.). 2004. ქართული დიპლომატიის ისტორია: ქრესტომათია. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

Met'reveli, roin (red.). 2004. Kartuli dip'lomat'iis ist'oria: krest'omatia. Tbilisi: tbilisis sakhelmts'ipo universit'et'is gamomtsemloba

მჭედლიძე, მაგდა. 2009. ერთი ბერძნული წყაროს ცნობები ფერარა-ფლორენციის კრებაზე ქართველთა მონაწილეობის შესახებ, დიდაჭარობა: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. რედ.: დამანა მედიქიშვილი. ხულო-დიდაჭარა

Mch'edlidze, magda. 2009. erti berdznuli ts'q'aros tsnobebi perara-plorentsiis k'rebaze kartvelta monats'ileobis shesakheb, didach'aroba: saertashoris sametsniero k'onperentsiis masalebi. Red. : damana melikishvili. Khulodidach'ara

მჭედლიძე, მაგდა. 2011. ქართველები ფერარა-ფლორენციის კრებაზე, ბიზანტინოლოგია საქართველოში III. რედ.: ნელი მახარაძე, ნესტან სულავა. ტომი II. თბილისი.

Mch'edlidze, magda. 2011. kartvelebi perara-plorentsiis k'rebaze, bizant'inologia sakartveloshi III. Red. : neli makharadze, nest'an sulava. T'omi II. Tbilisi.

ორბელიშვილი, ბესარიონ. 2013. გრდემლი: სიტყვისგებაი ლათინთა მიმართ ჩვენ მართლმადიდებელთა მიერ თუ რაი არს ჩუენგან მათი განყოფილება. ტექსტი ხელნაწერ S-3269-ის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა და შესავალი დაურთო ზაზა მამულაშვილმა. თბილისი.

Orbelishvili, besarion. 2013. Grdemli: sit'q'visgebai latinta mimart chven martlmadidebelta mier tu rai ars chuengan mati ganq'opileba. T'ekst'i khelnats'er S-3269-is mikhedvit gamosatsemad moamzada da shesavali daurto zaza mamulashvilma. Tbilisi.

პაპუაშვილი, ნუგზარ. 2009. საქართველოსა და რომის სარწმუნოებრივი ურთიერთობანი: მითოსი და რეალობა, აღმოსავლურ-დასავლური ქრისტიანობა (სტატიათა კრებული). მთავარი რედაქტორი: დავით თინიკაშვილი. თბილისი: სულხან-საბა ორბელიანის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი.

P'ap'uashvili, nugzar. 2009. sakartvelosa da romis sarts'munoebrivi urtiertobani: mitosi da realoba, aghmosavlur-dasavluri krist'ianoba (st'at'iata k'rebuli). Mtavari redakt'ori: davit tinik'ashvili. Tbilisi: sul Khan-saba orbelianis humanit'arul metsnierebata universit'et'i.

პაპუაშვილი, ნუგზარ. 2021. ფლორენციის უნია და სამცხე-ჯავახეთის უნიატები, წიგნში: ნუგზარ პაპუაშვილი. უდუ და მისი ეკლესია. თბილისი: უნივერსალი.

P'ap'uashvili, nugzar. 2021. Plorentsiis unia da samtskhe-javakhetis uniat'ebi, ts'ignshi: nugzar p'ap'uashvili. Ude da misi ek'lesia. Tbilisi: universali.

ჟუჟუნაძე, ოლეგ. 1970. XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ისტორიისთვის, ქართული სამეფო-სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან. კრებული პირველი, თბილისი: მეცნიერება.

Zhuzhunadze, oleg. 1970. XV sauk'unis p'irveli nakhevis sakartvelos sagareo polit'ik'is ist'oriistvis, kartuli samepo-samtavroebis sagareo polit'ik'is ist'oriidan K'rebuli p'irveli, tbilisi: metsniereba.

ტაბაღუა, ილია. 1984. საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში. ტომი I. თბილისი: მეცნიერება.

T'abaghua, ilia. 1984. Sakartvelo evrop'is arkivebsa da ts'ignsatsavebshi. T'omi I. Tbilisi: metsniereba.

უშიკიშვილი, იაკობ (ბექა). 2015. ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრება' ქართულ ისტორიოგრაფიასა და წყაროთმცოდნეობაში, საისტორიო ვერტიკალები 31.

Ushik'ishvili, iak'ob (beka). 2015. Perara-plorentsiis saek'lesio k'reba' kartul ist'origrapiasa da ts'q'arotmtsodneobashi, saist'orio vert'ik'alebi 31.

ქართველიშვილი, თეა. 2002. გურიის საეპისკოპოსოების როლი ქართულ კულტურაში (15-18 სს-ები). ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი.

Kartvelishvili, tea. 2002. Guriis saep'isk'op'osoebis roli kartul k'ult'urashi (15-18 ss-ebi). Ist'oriis metsnierebata k'andidat'is sametsniero khariskhis mosap'ovleblad ts'armodgenili disert'atsia. Ivane javakhishvilis sakhelobis tbilisis sakhelmts'ipo universit'et'i. Tbilisi.

ქორიძე, თამარ. 2002. დასავლეთ საქართველოს კათალიკოსთა ქრონოლოგია, კლიო: საისტორიო აღმანახი 15.

Koridze, tamar. 2002. Dasavlet sakartvelos k'atalik'osta kronologia," k'lio: saist'orio almanakhi 15.

ქორიძე, თამარ. 2013. დამოკიდებულება „ყოვლისა საქართველოდსა კათალიკოს-პატრიარქსა“ და აფხაზეთის კათალიკოსს შორის (X-XVIII სს.), რელიგიის ისტორიის საკითხები II.

Koridze, tamar. 2013. Damok'idebuleba „q'ovlisa sakartvelodsa k'atalik'osp'at'riarksa“ da apkhazetis k'atalik'oss shoris (X-XVIII ss.), religiis istoriis sak'itkhebi II.

ჭიღლაძე, ილია. 2019. მოკლე მიმოხილვა მიტროპოლიტისა და მთავარეპისკოპოსის წოდებების შესახებ მსოფლიო მართლმადიდებელ ეკლესიაში და ამ წოდების ისტორია საქართველოს ეკლესიაში, გული გონიერი 23.

Ch'ighladze, ilia. 2019. Mok'le mimokhilva mit'rop'olit'isa da mtavarep'isk'op'osis ts'odebebis shesakheb msoplio martlmadidebel ek'lesiashi da am ts'odebis ist'oria sakartvelos ek'lesiashi, guli gonieri 23.

ჯავახიშვილი, ივანე. 1982. ათაბაგის ცდა მესხეთის ეკლესიების საქართველოს კათალიკოსის ხელთდასხმითგან განთავისუფლებისათვის, მისივე წიგნში: თხზულებანი თორმეტ ტომად. ტომი III (ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, ნაწ. II: მე-15 ს.). თბილისი: მეცნიერება.

Javakhishvili, ivane. 1982. Atabagis tsda meskhetis ek'lesiebis sakartvelos k'atalik'osis kheltdaskhmitgan gantavisuplebisatvis, misive ts'ignshi: tkhzulebani tormet' t'omad. T'omi III (kartveli eris ist'oria, ts'igni III, nats'. II: me-15 s.). Tbilisi: metsniereba.

ჯაფარიძე, ანანია. 2003. ქართველი ეპისკოპოსები ფერარა-ფლორენციის კრებაზე (1438), მისივე წიგნში: საქართველოს საეკლესიო კრებები. წიგნი მეორე. თბილისი: მერანი.

Japaridze, anania. 2003. Kartveli ep'isk'op'osebi perara-plorentsiis k'rebaze (1438), misive ts'ignshi: sakartvelos saek'lesio k'rebebi. Ts'igni meore. Tbilisi: merani.

Geanakoplos, Deno. 1955. "The Council of Florence (1438-1439) and the Problem of Union Between the Greek and Latin Churches", Church History 24:4.

Gill, Joseph. 1959. The Council of Florence. Cambridge: CUP.

Matitashvili, Shota. May 2021. The Canonical Status of the Iberian (Eastern Georgian) Church during Late Antiquity and the Early Middle Ages. MA Thesis in Late Antique, Medieval and Early Modern Studies (Central European University, Vienna,).

Davit Tinikashvili

Professor, Caucasus University

The Stance of the Orthodox Church of Georgia on the Great Christian Union

Throughout history, divisions have arisen within the Christian Church, some of which have culminated in reconciliation. Various schisms and attempts at reunification have unfolded over the centuries, spanning differences between non-Chalcedonian and Chalcedonian factions, as well as between Catholic and Protestant denominations. Perhaps the most significant schism transpired in 1054 between Greek and Latin Christians, an event often referred to as the Great Schism. Efforts to bridge this divide were made at the Council of Lyon II and subsequently at the Council of Florence, both pivotal moments in the pursuit of Christian unity.

The stance of the Georgian Orthodox Church regarding these endeavors towards reconciliation did not align with the viewpoints of prominent Georgian Orthodox saints, such as George the Hagiorite and Arsen of Ikalto, towards the Latin Church. Furthermore, throughout Georgia's history, no conciliar decree has been issued declaring the Roman Catholic Church as heretical or schismatic. Even at significant church councils like Ruis-Urbnisi in 1104, the issue of the Latin Church was not addressed.